

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის
(2015-2020) იმპლემენტაციის პრობლემები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის
ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში

მარიამ მელიქიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი არჩილ აბაშიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მელიქიძე, 25.06.2019

აბსტრაქტი

საქართველო გამოირჩევა ეთნიკური სიჭრელით. მოსახლეობის 16,2%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენს. ეს მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან ჩასახლებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, თითოეული რეგიონის სპეციფიკა უნდა იყოს გათვალისწინებული ადგილობრივად პოლიტიკის გატარებასა თუ შემუშავებაში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების როლიც. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად შემუშავებულია ერთიანი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია (2015-2020), რომელის იმპლემენტაციასაც შეეხება ნაშრომი.

თემაში გამოყოფილია ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა და მათ მიერ კომპაქტურად დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. ეს განპირობებულია იმით, რომ სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ამ რეგიონში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა აქარბებს ეთნიკურად ქართველს. რეგიონის მოსახლეობისთვის და ზოგადად ადამიანის არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ამასთანავე რეგიონი მაღალმთიან ზონაშია. შესაბამისად განხილულია ზემოთხსენებული სტრატეგიის იმპლემენტაცია სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით.

კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის-ინტერვიუების მეთოდი და მეორადი მონაცემების ანალიზი. იმპლემენტაციის ბარიერების არსებობა და ფორმები დადგენილია თანამედროვე, კონტექსტუალური უთიერთქმედების თეორიის ფარგლებში. შედეგებიდან ირკვევა ბარიერების არსებობა, რომლის შესახებაც პარალელი გავლებულია არსებულ რაოდენობრივ კვლევებთან. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესის დასაგეგმად, იმპლემენტაციის შესწავლისას, კვლევების კომპლექსურობის გასათვალისწინებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, იმპლემენტაცია, იმპლემენტაციის ბარიერები, სამიზნე ჯგუფი, სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, სამცხე-ჯავახეთის მხარე, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა.

Abstract

Georgia is distinguished by ethnic variety. 16.2% of the population of Georgia consists of ethnic minorities. This is an important indication. It should be noted that ethnic minorities are tightly settled in different regions of Georgia. Accordingly, the specification of each region should be taken into account in the process of creation and implementation of strategy and policy, including the role of ethnic minorities. For the integration of ethnic minorities and the creation of equal socio-economic conditions, has been developed State Strategy for Civic Equality and Integration (2015-2020). So this work is about the implementation of the strategy.

Ethnic Armenian population is emphasized in this work and Samtskhe-Javakheti, which is compactly settled by them. This is due to the fact that, unlike other regions, the ethnic Armenian population in this region exceeds ethnic Georgians. Socio-economic factors are vital for the population of the region and for human existence in general. In addition, the region is in the mountainous zone. These are the reasons, why the implementation of the abovementioned strategy will be discussed in the socio-economic direction.

The research uses qualitative research-interview method and analysis of secondary data. The existence and forms of implementation barriers are established within the framework of modern, contextual interaction theory.

The results show that there are barriers to which the parallels are influenced by existing quantitative research. The results of the survey will be interesting to plan the process of creating a policy document, studying the implementation, and taking into consideration the complexity of the research.

Keywords: ethnic minorities, implementation, implementation barriers, target group, socio-economic integration, strategy, action plan, Samtskhe-Javakheti region, Armenian population.